


შპს "ზარაფხანა"-202445540

**ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის,
რომლიც დასრულდა 2019 წლის დეკემბრის
ბოლოს.**



შპს "ზარაფხანა"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	735 259,32	805 527,93
არამატერიალური აქტივები	5	18 400,02	15 082,70
საინვესტიციო ქონება	10		
სულ გრძელვადიანი აქტივები		753 659,34	820 610,63
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუ	6	352 890,60	146 003,50
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	569 477,15	548 669,82
მარაგები	8	3 231 090,37	3 149 293,69
წინასწარ გადახდილი გადასახადები			
გაცემული სესხები			
სულ მოკლევადიანი აქტივები		4 153 458,12	3 843 967,01
სულ აქტივები		4 907 117,46	4 664 577,64
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		(3 718 547,00)	(3 718 547,00)
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		483 711,34	767 889,06
გადაფასების რეზერვი			
სულ კაპიტალი		(3 234 835,66)	(2 950 657,94)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	(1 070 381,87)	(938 932,35)
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		(1 070 381,87)	(938 932,35)
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	-	-
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	(352 921,76)	(695 869,63)
საგადასახადო ვალდებულებები	200	(248 978,29)	(79 117,84)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		(601 900,05)	(774 987,47)
სულ ვალდებულებები		(1 672 281,92)	(1 713 919,82)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		(4 907 117,58)	(4 664 577,76)

ფინანსური დირექტორი

ბუღალტერი



შპს "ზარაფხანა"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2019
ამონაგები	<u>12</u>	(5 456 084)
თვითღირებულება	<u>13</u>	2 879 406
საერთო მოგება		(2 576 678)
სხვა შემოსავლები		(71 365)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>16</u>	1 856 516
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>14</u>	243 750
სხვა ხარჯები	<u>15</u>	48 065
საოპერაციო მოგება		(499 711)
ფინანსური შემოსავალი		(45 630)
ფინანსური ხარჯი	<u>17</u>	173 030
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		88 134
მოგება დაბეგვრამდე		(284 178)
მოგების გადასახადი	<u>18</u>	
წმინდა მოგება		(284 178)
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		
მთლიანი სრული შემოსავალი		(284 178)

ფინანსური დირექტორი


ბუღალტერი



შპს "ზარაფხანა"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018
წლის დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	<u>12</u>	(4429125)
თვითღირებულება	<u>13</u>	2037397
საერთო მოგება		(2391728)
სხვა შემოსავლები		(67171)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>16</u>	1982150
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>14</u>	125475
სხვა ხარჯები	<u>15</u>	14722
საოპერაციო მოგება		(336552)
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯი	<u>17</u>	110979
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		- 42938
მოგება დაბეგვრამდე		(182635)
მოგების გადასახადი	<u>18</u>	
წმინდა მოგება		(182635)
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		
მთლიანი სრული შემოსავალი		(182635)



შპს "ზარაფხანა"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	(3 718 547)		767 889,06	(2 950 658)
წმინდა მოგება	-	-	(284 178)	(284 178)
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(284 178)	(284 178)
გაცემული დივიდენდი	-	-		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-		
2019 წლის 31 დეკემბერი	(3 718 547)	-	483 711	(3 234 836)
შემოწმება, 2018	-	-	-	-
შემოწმება, 2019	-	-	-	-

ფინანსური დირექტორი

ბუღალტერი



შენიშვნა -4
ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	მიწა	დაუმონტაჟებული მოწყობილობები	ჯამი
ლარი	10	11	12	13	14	15	16	17	
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	41 712	590 191	250 563	-	16 029	12 341	-	-	910 836
შესყიდვა	3 430	22 313	16 552	-	-	6 815	-	-	49 110
გასვლა									-
გაუფასურება									-
შიდა გეგმური რეკლასიფიკაცია									-
გადაფასების რეზერვი									-
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	45 141	612 504	267 115	-	16 029	19 156	-	-	959 946
დაგროვილი ცვეთა	20	21	22	23	24	25	26	27	
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	(45)	(62 784)	(29 859)	-	(8 015)	(4 605)	-	-	(105 308)
ცვეთის ხარჯი	(8 456,60)	(62 214,01)	(38 476,07)		(8 014)	(2 217)			(119 378)
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა									-
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	(8 501)	(124 998)	(68 335)	-	(16 029)	(6 823)	-	-	(224 686)
სამალანსო ღირებულება									
2018 წლის ბოლოს	41 667	527 407	220 704	-	8 014	7 736	-	-	805 528
2019 წლის ბოლოს	36 640	487 506	198 780	-	-	12 333	-	-	735 259

9

შენიშვნა-5
არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2018 წლის ბოლოს		-	16 759	16 759
შემოსავლა		5 636		5 636
გასვლა				-
2019 წლის ბოლოს	-	5 636	16 759	22 395
დაგროვილი ამორტიზაცია				
2018 წლის ბოლოს		-	(1 676)	(1 676)
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი		(408)	(1 911)	(2 319)
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია				
2019 წლის ბოლოს	-	(408)	(3 587)	(3 995)
სამალანსო რირებულება				
2018 წლის ბოლოს	-	-	18 434	18 083
2019 წლის ბოლოს	-	6 044	20 345	18 400



Handwritten signature in blue ink.

შენიშვნა-12 ამონაგები

	ლარი	31/12/2019
121	მზა პროდუქციის რეალიზაცია	(3 920 317)
	სხვა შემოსავლები	-
123	მომსახურების რეალიზაცია	(1 535 767)
		(5 456 084)
	Check	-
122	სხვა შემოსავლები	(71 365)
110	სხვა შემოსავლები / საპროცენტო შემოსავალი	(45 630)

შენიშვნა-13 თვითღირებულება

	ლარი	31/12/2019
131	მზა პროდუქციის თვითღირებულება	2 879 406
132	ნედლეულის თვითღირებულება	-
133	მომსახურების თვითღირებულება	-
		2 879 406
	Check	-

შენიშვნა-13 რეალიზებული მზა პროდუქციის თვითღირებულების კო

	ლარი	31/12/2019
134	პირდაპირი მასალები	1 852 454
135	შრომითი ანაზღაურება	680 208
136	კომუნალური	97 475
137	ოჯარი	-
138	ცვეთა	121 978
139	დამხმარე მასალები	112 783
1391	რემონტები	-
1392	სხვა	14 509
		2 879 406
	Check	-

შენიშვნა-14 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

	ლარი	31/12/2019
141	სარეკლამო ხარჯები	135 775
142	საწვავის ხარჯი	29 162
143	სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	1 789
144	რეალიზაციის დანახარჯები	77 024
		243 750
	Check	-

შენიშვნა-15 სხვა ხარჯები

	ლარი	31/12/2019
151	დებეტირებული დავალიანების რეზერვის ხარჯი	-
152	მარაგების გაუფასურება	-
153	დაზღვევის ხარჯი	48 065
154	მზა პროდუქციის განადგურების ხარჯი	-
155	მოგების გადასახადის ხარჯი -კანონმდებლობის თანახმად	-
156	ქონების გადასახადი	48 065
	Check	-

შენიშვნა-16 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	ლარი	31/12/2019
161	შრომის ანაზღაურება	1 076 391
162	ცვეთა და ამორტიზაცია	-
163	საგადასახადო ხარჯი	9 600
164	საკონსულტაციო ხარჯი	-
165	რემონტის ხარჯი	8 341
166	ბანკის მომსახურება	63 844
167	წარმომადგენლობითი ხარჯები	-
168	ოჯარის ხარჯი	504 531
169	მიწის ხარჯები	15 460
1691	სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	143 497
1692	კომუნიკაციის ხარჯები	34 853
		1 856 516
	Check	-

შენიშვნა-17 ფინანსური ხარჯი

	ლარი	31/12/2019
171	ბანკის სესხის პროცენტი	151 558
172	ზარალი საკუროსი სხვაობიდან	88 134
173	სხვა ფინანსური ხარჯები	21 472
		261 163
	Check	88 134



შენიშვნა-8

მარაგები

	ლარში
80	შპს პროდუქცია
81	ნედლეული
82	დამთავრებული წარმოება
83	საქონელი
84	სხვა მარაგები

Check

31/12/2019
711 634
2 472 709
-
-
46 747
3 231 090

შენიშვნა-7

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

70	სავაჭრო დებიტორული დავალიანებები
71	საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი
72	სხვა მოთხოვნები

Check

31/12/2019
106 366
-
463 112
569 477

შენიშვნა-6

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	ლარში
61	ფული სალაროში
62	ფული საბანკო ანგარიშებზე

Check

31/12/2019
44 746
308 145
352 891

შენიშვნა-9

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	ლარში
90	სავაჭრო ვალდებულებები
91	გადასახელი ხელფასები
92	გადასახდელი პროცენტები
93	გადასახდელი დივიდენდები
94	სხვა ვალდებულებები

Check

31/12/2019
(218 418)
(38 874)
(95 630)
-
-
(352 922)



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ზარაფხანა“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 16 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისი საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 202445540 კომპანიის იურიდიული/ფაქტიური მისამართია: ქ.თბილისი, ლუბლიანს ქუჩა 13. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ძვირფასეულობის და მასთან დაკავშირებული ნაკეთობების წარმოება.

კომპანიის დირექტორია ნიკოლოზ ნაყოფია -პ/ნ 01008048562
2019 წელს კომპანიის საშუალო თანამშრომლების რაოდენობა იყო 100 ადამიანი.

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს, კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2018 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი



ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას. ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.



თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც



A large, stylized handwritten signature in blue ink, located at the bottom left of the page.

საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა



ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით; ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ნაგებობები	15-20
მანქანა-დანადგარები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5
	30-50
ელექტრო მოწყობილობები	5-10

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში

დაბეგვრა



კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.


თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საადრიცხო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.



Handwritten signature in blue ink.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს სასამართლო დავები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს აღილი არ ქონია


ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება



კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად
დამტკიცებულია 2021 წლის 20 ოქტომბრით

დირექტორი:





დირექტორი: